ატომური შთანთქმის ფენომენი დაფუძნებულია თავისუფალი ატომების ორთქლის მიერ ოპტიკური გამოსხივების ინტენსივობის შემცირების გაზომვაზე. AAS-ის თანამედროვე აპარატურა, როგორც წესი შედგება სინათლის წყაროსგან, რომელსაც ღრუ კათოდური ნათურა ეწოდება, ის ასხივებს სინათლის სპეციფიურ ტალღის სიგრძეებს, რომელიც იდეალურად შთანთქმდება მხოლოდ განსაზღვრი ელემენტის მიერ. ხელსაწყო ასევე დაკავშირებულია კომპიუტერულ სისტემასთან, რომელიც აკონტროლებს ინსტრუმენტის მუშაობას და გამოიყენება მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისათვის.

ყველა სამუშაო სტანდარტული ხსნარი მომზადდა 1000 მგ/ლ სტანდარტული ხსნარის გამოხდილი წყლით გაზავებით. შერჩეული სამუშაო ტალღის სიგრძეები მოცემულია ცხრილში 2.1,

**ცხრილი 2.1 თითოეული მძიმე მეტალის განსაზღვრის ტალღის სიგრძე და განსაზღვრის ზღვარი.**

ელემენტი	ტალღის სიგრძე (ნმ)	განსაზღვრის ზღვარი (მკგ/ლ)
Pb	217	0.085
Cd	228.8	0.007
Zn	213.9	0.008
Cr	357.9	0.002

## 2.2 სორბენტების დახასიათება

ბუნებრივი და მოდიფიცირებული ცეოლითური სორბენტების აღწერილობის მისაღებად საჭირო იყო რამოდენიმე მეთოდის კომპლექსური გამოყენება. ზოგადად მორდენიტის დახასიათება უზრუნველყოფს შემდეგ ინფორმაციას :

1. როგორია მისი სტრუქტურა და მორფოლოგია;
2. ქიმიური შედგენილობა;
3. მოლეკულების ადსორბციის უნარი.

**მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი:** სორბენტების მორფოლოგია და ელემენტური ანალიზი ჩატარდა SEM-EDS-ის გამოყენებით შემდეგ ანალიზურ პირობებში: VEGA 3, LMU ელექტრონთა წყაროდ გამოყენებულია LaB<sub>6</sub>-ის კათოდი. ამაჩქარებელი ძაბვა შეადგენს 0–30 კილოვოლტს, ხოლო გარჩევისუნარიანობა 2,0 ნანომეტრს 30 კვ ამაჩქარებელ ძაბვაზე. მაქსიმალური გამაღიდებლობა 1 000 000-ს აღწევს.

**რენტგენული დიფრაქტომეტრი:** საწყისი და მოდიფიცირებული მორდენიტის ნიმუშების რენტგენოგრაფიული ანალიზი ხდებოდა რენტგენული დიფრაქტომეტრით (XRD) (X-ray diffractometer by PANalytical, MPD X<sub>PERT</sub> PRO PW3040 / 60). ტიპიური ფხვნილისებრი ნიმუშებისთვის, მონაცემები გროვდება 2 $\theta$ -ს კუთხის მონაცემების დიაპაზონში  $\approx 5^{\circ}$ -დან  $90^{\circ}$ -მდე, რომლებიც წინასწარ რენტგენოლოგიურ სკანერშია.

**რენტგენული ფლუორესცენტული სპექტრომეტრი:** სორბენტების ქიმიური შედგენილობა გაანალიზდა ენერგო დისპერსიული X-ray ფლუორესცენტული მეთოდით (XRF). XRF ტექნიკა დამოკიდებულია ფუნდამენტურ პრინციპზე, რომელიც მოიცავს ელექტრონის სხივებისა და რენტგენის სხივების ნიმუშთან ურთიერთქმედებას. ნიმუშები მომზადდა XRD ნიმუშის მომზადების ტექნიკის ანალოგიურად.

**ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრაწითელი სპექტროსკოპი:** სორბენტებში ფუნქციური ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულია ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრაწითელი (FT-IR) სპექტროსკოპი (Agilent Technologies, Cary 630 FTIR).

**ნულოვანი მუხტის წერტილის განსაზღვრა ( $pH_{pzc}$ ):** ნულოვანი მუხტის წერტილი არის  $pH$ -ის ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც ზედაპირის მუხტი უტოდლება ნულს, განსაზღვრული ტემპერატურისა და წნევის პირობებში (Kosmulski, 2020).

ექსპერიმენტში გამოყენებულია 10 სუფთა მშრალი პლასტმასის თავსახურიანი სინჯარა და მექანიკური სანჯღრეველა. ნარევის  $pH$  დარეგულირდა 0.1N  $HNO_3$  და 0.1N  $NaOH$ -ის ხსნარებით.  $pH$  გაზომილია  $pH$  მეტრით (Milwaukee 150). ცხრა სხვადასხვა სინჯარაში მოთავსდა 0.1 M  $NaNO_3$ -ის 50მლ ხსნარის  $pH_i=2;3;4;5;6;7;8;9;10$  შესაბამისად, დაემატა 0,2 გ სორბენტი, სინჯარები ინჯღრეოდა წონასწორობის დამყარებამდე. წონასწორობის დამყარების შემდეგ კვლავ გაზომილია  $pH_s$  მნიშვნელობები.  $pH_i$ -ს დამოკიდებულება  $\Delta pH$ -ზე გამოისახა გრაფიკულად. ნულოვანი მუხტის წერტილი არის მრუდის ვერტიკალური პროექცია.

### 2.3 ადსორბციული ექსპერიმენტები

ექსპერიმენტები მოიცავდა  $Pb(II)$ ,  $Cd(II)$ ,  $Zn(II)$  და  $Cr(VI)$  კატიონების სრულ ადსორბციულ კვლევებს ყველა მომზადებულ ადსორბენტზე, წონასწორობულ, იზოთერმულ მოდელირებასა და ადსორბციული პროცესების კინეტიკურ და თერმოდინამიკულ ანალიზს. ადსორბციული კვლევები ასევე ჩატარდა სინთეზურ  $Na-MOR$ -ზე, რათა შედარება მომხდარიყო ქართული ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის ეფექტურობისა. კატიონებით გაჯერებული ადსორბენტების რეგენერაცია ხდებოდა  $EDTA$ -ს, ორგანული და მინერალური მჟავების მეშვეობით.

**ადსორბციის წონასწორობის კვლევები:** ადსორბციის ექსპერიმენტი ძირითადად ჩატარდა 1გ სორბენტზე 50 მლ მეტალის მოდელური ხსნარის დამატებით. შერევა ხდებოდა 1 სთ-ის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე ( $22^\circ C$ ). ნჯღრევის შემდეგ ხსნარი მყისიერად იფილტრებოდა. ფილტრატი ისაზღვრებოდა მეტალის კონცენტრაცია ატომურ აბსორბციული მეთოდით.

**საწყისი კონცენტრაციისა და კონტაქტის დროის გავლენა:** 1 გრამ სორბენტს ემატებოდა 50 სმ<sup>3</sup> ( $Pb(II)$ ,  $Cd(II)$ ,  $Zn(II)$  და  $Cr(VI)$ ) საწყისი ხსნარები (5, 10, 20, 40, 60, 80, 100 ppm) შერევა ხდებოდა 1 საათის განმავლობაში. თვითოეული ნარევი გაიფილტრა და ფილტრატი განისაზღვრა თითოეული მეტალის შემცველობა ატომურ აბსორბციული მათოდით.

**ადსორბენტის მასის გავლენა:** განსხვავებული წონის ადსორბენტს ( 0.1გ, 0.5გ, 1.0გ, 1.5გ, 2.0გ, 5.0გ) დაემატა 50 სმ<sup>3</sup> Pb(II), Cd(II), Zn(II) და Cr(VI)საწყისი ხსნარები სადაც მიღებულია ოპტიმალური სორბცია (10 ppm)და ინჯლეოდა 1 საათის განმავლობაში.

**pH-ის გავლენა:** 1 გრამ სორბენტს დაემატა 50 სმ<sup>3</sup> Pb(II), Cd(II), Zn(II) და Cr(VI) საწყისი 10 ppm ხსნარები, ადსორბატის pH 2-დან 10-მდე ზღვრებში. კონტაქტის დრო 1 სთ. სუსპენზია მყისიერად გაიფილტრა და გაანალიზდა ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრით.

**ტემპერატურის გავლენა:** 1 გრამ სორბენტს დაემატა 50 სმ<sup>3</sup> Pb(II), Cd(II), Zn(II) და Cr(VI) საწყისი 50 ppm ხსნარი, ინჯლრეოდა სხვადასხვა ტემპერატურებზე (20°C, 30°C, 60°C, 80 °C).

მიღებული ექსპერიმენტული შედეგების დამუშავება ხდებოდა შემდეგი ფორმულების და განტოლებების მიხედვით:

**ადსორბციის ტევადობა** გაანგარიშებულია ფორმულით (Matouq et al., 2015):

$$E = \frac{(C_0 - C)V}{m} \quad (1)$$

სადაც, E (მგ/გ) არის წონასწორული ადსორბციული ტევადობა;

C<sub>0</sub> და C (მგ/დმ<sup>3</sup>) - ტყვიის იონის საწყისი და წონასწორული კონცენტრაცია ხსნარში;

V (დმ<sup>3</sup>) ხსნარის მოცულობა;

m (გ) ადსორბენტის რაოდენობა.

**ადსორბციის იზოთერმის შესწავლა:** ადსორბციის იზოთერმა იძლევა წარმოდგენას სორბციის პროცესისა და ადსორბატის მიერ ზედაპირის დაფარვის ხარისხის შესახებ. ეს ხელს უწყობს შესაფერისი სორბენტის შერჩევასა და პროცესისთვის საჭირო სორბენტის დოზის განსაზღვრას.

**ლენგმიურის იზოთერმის აგება:** ლენგმიურის იზოთერმული მოდელი არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ადსორბციის მოდელი, სადაც სორბცია მიმდინარეობს მხოლოდ მონოფენის წარმოქმნით. ადსორბენტის ზედაპირზე მეტალის იონების ერთფენიანი საფარის წარმოქმნით. ეს იზოთერმა პროგნოზირებს, რომ მოლეკულათშორისი ძალები სწრაფად მცირდება მანძილის მატებასთან ერთად. ლენგმიურის იზოთერმის განტოლებას ასეთი სახე აქვს:

$$q_e = \frac{q_{\max} K_L C_e}{1 + K_L C_e} \quad (2) \quad (\text{Guo \& Wang, 2019})$$

ლენგმიურის იზოთერმის წრფივი ფორმა გამოისახება განტოლებით:

$$\frac{C_e}{q_e} = \frac{1}{q_{\max} K_L} + \frac{C_e}{q_{\max}} \quad (\text{Manyangadze et al., 2020})(3)$$

სადაც, C<sub>e</sub> არის ადსორბარის წონასწორული კონცენტრაცია(მგ/დმ<sup>3</sup>);

$q_e$ - ადსორბირებული მეტალის კატიონის რაოდენობა მასის ერთეულზე(მგ/გ);

$q_{max}$  (მგ/გ) და  $K_L$  (დმ<sup>3</sup>/მგ) არის ლენგმიურის მუდმივები, რომლებიც დაკავშირებულია მონოფენის ადსორბციის მაქსიმალურ შესაძლებლობებთან და ადსორბციის სიჩქარესთან, შესაბამისად.  $q_{max}$  და  $K_L$  განისაზღვრება  $1/C_e$ -ის  $1/q_e$ -ზე დამოკიდებულების გრაფიკიდან.

$$q_{max} = \frac{1}{intercept} \quad (4)$$

$$K_L = \frac{1}{q_{max} * slope} \quad (5)$$

**ფროინდლიხის იზოთერმა:** ფროინდლიხის ადსორბციის იზოთერმა არის ემპირიული განტოლება, რომელიც გამოიყენება ჰეტეროგენული სისტემის აღსაწერად (Li et al., 2018), გამოსახება ფორმულით:

$$q_e = K_F C_e^{1/n} \quad (\text{Georgescu et al., 2018}) \quad (6)$$

ფროუნდლიხის იზოთერმის კარგად ცნობილი ლოგარითმული ფორმა მოცემულია შემდეგი სახით:

$$\ln C_e = \ln K_F + (1/n) \quad (\text{Huang et al., 2017}) \quad (7)$$

სადაც,  $C_e$  (მგ/დმ<sup>3</sup>) ადსორბატის წონასწორული კონცენტრაცია;

$q_e$ (მგ/გ) არის ადსორბირებული მეტალის კატიონის რაოდენობა მასის ერთეულზე;

$K_F$  და  $n$  არის ფროუნდლიხის მუდმივები.

$n$  მიუთითებს იმაზე თუ რამდენად ხელსაყრელია ადსორბციის პროცესი,  $K_F$  განიმარტება, როგორც ადსორბციის ან განაწილების კოეფიციენტი, ის არის ადსორბატის რაოდენობა რომელიც ადსორბირდება ადსორბენტის მასის ერთეულზე წონასწორობისას(DeMessie et al., 2022).  $0.1 < 1/n < 1$  დიაპაზონში ადსორბცია ხელსაყრელია.

$$\ln K_f = intercept \quad (8)$$

$$\frac{1}{n} = slope \quad (9)$$

**ადსორბციის თერმოდინამიკა:** ადსორბციის მექანიზმის შეფასებისას თერმოდინამიკა თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ის გვეხმარება გავიგოთ პროცესი ბუნებით ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული, ასევე დავადგინოთ მეტალის იონის თავისუფლების ხარისხი. ადსორბციის თერმოდინამიკული პარამეტრები გამოითვლება ვანტ ჰოფის განტოლების გამოყენებით(Lima et al., 2020). კერძოდ, თერმოდინამიკული პარამეტრები როგორცაა ჯიფსის თავისუფალი ენერჯის ცვლილება ( $\Delta G^0$ ), ენთალპიის ცვლილება ( $\Delta H^0$ ) და ენტროპის ცვლილება ( $\Delta S^0$ ) გამოსახება შემდეგი განტოლებებით(Olawale et al., 2022):

$$\Delta G = -RT \ln K \quad (10)$$



$$\ln K = \frac{\Delta S}{R} - \frac{\Delta H}{RT} \quad (11)$$

$$\Delta G = \Delta H - T\Delta S \quad (12)$$

სადაც, T არის ტემპერატურა კელვინებში;

R არის იდეალური გაზის მუდმივა (8.314 ჯ/მოლი·კელვინი);

K არის თერმოდინამიკული წონასწორობის მუდმივა;

$\Delta H^0$  და  $\Delta S^0$  მნიშვნელობები გამოითვლება  $\ln K$ -სა და  $1/T$  დამოკიდებულების გრაფიკის დახრილობიდან და კვეთიდან.

$$\Delta H^0 = -\text{slop} * R \quad (13)$$

$$\Delta S^0 = \text{intercept} * R \quad (14)$$

**დესორბცია და რეგენერაცია:** ადსორბციის ექსპერიმენტში გამოყენებული ქართული ბუნებრივი მორდენიტის ნიმუში, რომელზეც ადსორბირებული იყო: 0.74მგ/გ-Zn, 0.39მგ/გ-Cd 2.48 მგ/გ-Pb და 2.25 მგ/გ-Cr ფრთხილად გაირეცხა გამოხდილი წყლით და გაშრა თერმოსტატში 105 °C-ზე 12 საათის განმავლობაში. ცეოლითი შემდეგ მოთავსდა სხვადასხვა დესორბენტის ხსნარში: 1M CH<sub>3</sub>COOH, 1M HCl, 0.2 M HNO<sub>3</sub>, 0.2M H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> და 0,2 M EDTA. ტყვიით, თუთიითა და კადმიუმის იონებით დაბინძურებული მორდენიტის ნიმუშები თავსდებოდა დესორბენტის შესაბამის ხსნარში. ხდებოდა ხსნარის მუდმივი მორევა 25 °C-ზე წონასწორობის მიღწევამდე (24 საათის განმავლობაში). რეგურალური ინტერვალებით იფილტრებოდა ხსნარები და ისაზღვრებოდა მძიმე მეტალების შემცველობა ატომურ აბსორბციულ სპექტრომეტრზე (Perkin Elmer AAnalyst 200).

თითოეული ლითონის რაოდენობა, რომელიც გადადის ცეოლითიდან ხსნარში დესორბირების მასის ერთეულზე ( $q_d$  (მგ/გ)) წონასწორობის დროს გამოითვლება ფორმულით:

$$q_d = \frac{(C_{\text{დესორბირებული}}) * V}{m} \quad (15)$$

სადაც:  $C_{\text{დესორბირებული}}$  არის ლითონის კონცენტრაცია თხევად ფაზაში, რომელიც არის დესორბირებულ ხსნარში დესორბციის პროცესის ბოლოს (წონასწორობის პირობებში) (მგ/ლ), V არის დესორბირებული ხსნარის მოცულობა, m- დესორბენტის მასა (Katsou et al., 2011).


დესორბირებული მეტალების პროცენტული შემცველობა გამოითვლება ფორმულით:



$$\% \text{ დესორბციის} = \frac{q_d}{q_e} \times 100\% \quad (16)$$

სადაც,  $q_d$  არის დესორბირებული ლითონის რაოდენობა მასის ერთეულზე (მგ/გ), ხოლო  $q_e$  არის მეტალის რაოდენობა, რომელიც ადსორბირდება ადსორბენტის მასის ერთეულზე წონასწორობის დროს (მგ/გ).

ამ კვლევაში განხორციელებული ექსპერიმენტების თანმიმდევრობა ნაჩვენებია სქემაზე, რომელიც წარმოდგენილია სურ. 2.1-ზე.



სურ. 2.1 ექსპერიმენტის ჩატარების სქემა

### თავი III შედეგები და განსჯა

ამ თავში წარმოდგენილია ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა მომზადებული სორბენტების შესახებ. მოყვანილია მორდენიტის მოდიფიცირების შედეგად მიღებული ფორმების სტრუქტურული ცვლილებები, ქიმიური და ფიზიკური თვისებები.

როგორც ცნობილია, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლიტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესების ერთ-ერთი შესაძლო გზაა ქიმიური მოდიფიცირება ტუტით (Ghaviour et al., 2013; Sun et al., 2017) რომელიც საშუალებას იძლევა შეიცვალოს როგორც ცეოლიტის მჟავური ცენტრების რაოდენობა, ასევე მისი ფოროვანი სტრუქტურა. ძირითადად, ტუტე დამუშავება ხელს უწყობს სილიციუმის მოცილებას ცეოლიტიდან და დამატებითი დეფექტების შექმნას, რაც ხელს უწყობს სორბციული აქტივობის გაზრდას.

საწყისი მორდენიტის Si/Al თანაფარდობა უფრო მაღალია, ვიდრე ტუტით დამუშავებული ნიმუშების, ადსორბენტის სტრუქტურიდან სილიციუმის ოქსიდის გამორეცხვის გამო. მათი ადსორბციის უნარი თითქმის იგივე რჩება და არ არის დამოკიდებული ნიმუშების მოდიფიცირებაზე ნატრიუმის ჰიდროქსიდით.

ლიტერატურული მონაცემებით, ცეოლიტების ტუტეებით დამუშავებისას ასევე იზრდება როგორც მიკრო, ასევე მეზო ფორების ზედაპირის ფართობი (Ahmed et al., 2017; Feng et al., 2018).

ცეოლიტების მჟავური მოდიფიცირება შესაძლებელს ხდის ცეოლიტში ალუმინის შემცველობის შემცირებას (დეალუმინირებას), რითაც ამცირებს მჟავური ცენტრების რაოდენობას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დადებითად მოქმედებს როგორც ადსორბციული სისტემის აქტივობაზე, ასევე სტაბილურობაზე. მორდენიტის დამუშავება მარილმჟავის ყველაზე დაბალი კონცენტრაციით 1 მოლ/ლ იწვევს გარე ზედაპირის ზრდას 6-დან 10,5 მ<sup>2</sup>/გ-მდე.

ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ადსორბციის შესწავლა ტარდებოდა კონტაქტის დროის, ტემპერატურის, pH-ისა და მეტალის იონების საწყისი კონცენტრაციის გავლენის შესაფასებლად ადსორბციის წონასწორულ პროცესზე. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები გამოყენებული იყო წონასწორული იზოთერმის ასაგებად, კინეტიკური და თერმოდინამიკური პარამეტრების გასაანგარიშებლად მომზადებული ადსორბატ-ადსორბენტების სისტემის მიმართ. რაც მოგვცემს წარმოდგენას მეტალის კატიონების (Pb (II), Cd (II), Zn (II) და Cr (VI)) სორბციის მექანიზმზე. ბოლოს წარმოდგენილია მეტალის იონებით გაჯერებული სორბენტების რეგენერაცია.

### 3.1 ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის დახასიათება

ძალიან მნიშვნელოვანია ადსორბციის პროცესში გამოყენებული ცეოლითების მახასიათებლების ცოდნა. ადსორბენტების ტექნოლოგიური თვისებები დამოკიდებულია მათ ფიზიკურ, ქიმიურ, მინერალოგიურ და მორფოლოგიურ მახასიათებლებზე. რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მძიმე მეტალებისგან წყლის გაწმენდის ხარისხს.


ცეოლითების დახასიათება სხვადასხვა მეთოდებით გვაძლევს ინფორმაციას თუ როგორია მათი სტრუქტურა და მორფოლოგია, ქიმიური შედგენილობა, ნაწილაკების სორბციისა და შეკავების უნარი, როგორ იცვლება სტრუქტურა და მორფოლოგია მოდიფიცირების შედეგად.

ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი, როგორცაა: მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია (SEM), ენერგო-დისპერსიული სპექტროსკოპია (EDS), რენტგენული დიფრაქტომეტრია (XRD), რენტგენო ფლუორისცენტული ანალიზი (XRF), pH-მეტრია (ნულოვანი მუხტის წერტილის განსაზღვრისათვის  $pH_{pzc}$ ) და ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრა-წითელი სპექტროსკოპია (FT-IR).


#### მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია (SEM)

მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიის გამოყენებით დადგინდა საწყისი და მოდიფიცირებული ფორმების მორფოლოგია. დადგინდა, რომ ცეოლითების საწყისი და მოდიფიცირებული ფორმების მიკროსტრუქტურები საკმაოდ მსგავს სურათს გვაძლევს. შესწავლილი ნიმუშები შედგება 10-100 ნმ სიგანის ბოჭკოებისგან, რომლებიც თავის მხრივ, ქმნიან უფრო დიდ აგლომერატებს. საწყის მორდენიტში ბოჭკოები გამოყოფილია ძალიან მცირე ნაპრალების მსგავსი ფორმებით (სურ. 3.1).


ბუნებრივი ცეოლითი დამუშავდა 1 M მარილმჟავით, რათა ზედაპირიდან მოშორებულიყო ხელისშემშლელი მინარევები და შედეგად მიღებულიყო სუფთა რეგულარული ზედაპირი, როგორც ნაჩვენებია სურ. 3.2-ზე. საწყისი მორდენიტის ტუტით მოდიფიცირებას არ მოუხდენია გავლენა მის მორფოლოგიაზე (სურ. 3.3), რაც შეიძლება აიხსნას როგორც სუსტი კონცენტრაციის ტუტის გამოყენებით, ისე მორდენიტის სტრუქტურის სიმტკიცით მჟავების და ტუტეების მიმართ.



სურ. 3.1. ქართული ბუნებრივი მორდენიტის (MOR) კრისტალური სტრუქტურა.



სურ. 3.2. მჟავით დეკატიონირებული მორდენიტის (H-MOR) კრისტალური სტრუქტურა




სურ. 3.3. ტუტით მოდიფიცირებული მორდენიტის (MOR-OH) კრისტალური სტრუქტურა


ენერგო დისპერსიული სპექტროსკოპია არის ანალიტიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება ცეოლიტების ნიმუშების ელემენტური შემადგენლობისა და ქიმიური დახასიათების დასადგენად. რასტრული მიკროსკოპით ნიმუშის შესწავლისას ხდება არა მარტო მისი ზედაპირის გადიდებული გამოსახულების ანალიზი, არამედ მისი შედგენილობის შესწავლაც. EDS მეთოდი შეწყვილებულია რასტრულ მიკროსკოპთან რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ რასტრული გამოსახულების შესაბამისი გამოსახულება, რომელშიც ნაჩვენებია იქნება რასტრული სურათის რა ნაწილს რა ელემენტი შეესაბამება. ასეთ სურათს ელემენტთა განაწილების რუკას უწოდებენ. სხვადასხვა ლოკაციაზე განისაზღვრა ძირითადი ელემენტები და მათი შესაბამისი ოქსიდები.

EDS-SEM გამოყენებით დადგინდა სორბენტების ქიმიური შედგენილობა. შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 3.1-ში. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მორდენიტის მჟავის ხსნარით დამუშავება იწვევს რამდენიმე კატიონის მოცილებას. მჟავასთან მიმართებაში იონმიმოცვლითი ნატრიუმი ყველაზე დაუცველია. H-MOR-ში ნატრიუმის შემცველობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. კალიუმი აღმოჩნდა ყველაზე მდგრადი, მიუხედავად მჟავასთან ურთიერთქმედებისა, ის დარჩა ცეოლიტში.

ალბერტის და არმბრუსტერის შრომებმა აჩვენეს(Simoncic & Armbruster, 2004), რომ  $\text{Na}^+$ ,  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{K}^+$  კატიონების 50 % ბუნებრივი მორდენიტის ნიმუშებში ლოკალიზდებიან მცირე არხებში. დანარჩენი კატიონების შესაძლო ლოკალიზაცია - მთავარი არხები 15 მოლეკულა წყლის გარემოცვით.




სურ. 3.4 ედს ანალიზი, რომელზეც ნაჩვენებია ბუნებრივი მორდენიტის ელემენტური შედგენილობა და დასკანირებული სურათი.



სურ. 3.5 ედს ანალიზი, რომელზეც ნაჩვენებია მჟავით მოდიფიცირებული მორდენიტის ელემენტური შედგენილობა და დასკანირებული სურათი.






სურ. 3.6 ედს ანალიზი, რომელზეც ნაჩვენებია ტუტით მოდიფიცირებული მორდენიტის ელემენტური შედგენლობა და დასკანირებული სურათი.

ცხრილი 3.1. სორბენტების ელემენტური პროცენტული შედგენილობები

	MOR	H-MOR	MOR_OH
ელემენტი	ატომური %	ატომური %	ატომური %
C	5.57	9.13	9.04
O	65.72	62.06	62.52
Al	4.00	3.65	4.00
Si	20.15	21.59	19.39
Ca	1.44	0.23	0.74
Fe	0.94	0.68	0.4
Na	1.26	0.11	1.55
K	0.53	0.39	3.02
Mg	0.39	0.11	0.12

**XRD** რენტგენოგრამები როგორც საწყისი, ასევე De-MOR და MOR-OH ფორმებისათვის ნაჩვენებია სურ. 3.7-ზე. როგორც დიფრაქტოგრამებიდან ჩანს, სამივე სორბენტისათვის ყველა დიფრაქციული პიკი ფაქტობრივად ერთსა და იმავე პოზიციებზეა (უმნიშვნელო კუთხური გადანაცვლებებით), რაც მიუთითებს იმაზე რომ მჟავათი და ფუძით დამუშავებისას სტრუქტურული ცვლილებები პრაქტიკულად არ მომხდარა. მაგრამ De-MOR დიფრაქტოგრამაზე პიკები უფრო მკვეთრად არის გამოსახული, რაც მიუთითებს ცეოლითური ფაზის მოწესრიგებაზე მჟავათი დამუშავებით.

ზოგადად შედეგებმა აჩვენა, რომ ქართული ბუნებრივი მორდენიტი ძირითადად შედგება მორდენიტის ფაზისგან. მორდენიტის ფაზის გარდა მინერალი ასევე შეიცავს კვარცისა და თიხის მინარევებს.




სურ. 3.7. **XRD** რენტგენოგრამები საწყისი, De-MOR და MOR-OH ფორმებისათვის.

ფურიეს გარდაქმნის ინფრაწითელი სპექტროსკოპია (FT-IR) არის ძლიერი ტექნიკა, რომელსაც შეუძლია მოლეკულურ დონეზე სწრაფი და სპეციფიური ინფორმაციის მიწოდება (Cervantes et al., 2015). ფურიეს გარდაქმნის ინფრაწითელი (FT-IR) სპექტროსკოპია გამოიყენება ცეოლითების სტრუქტურის და მათ ფორმებში წყლის და OH-ჯგუფების არსებობის ფორმები. სურ. 3.8-ზე ნაჩვენებია საწყისი და მოდიფიცირებული მორდენიტის ფურიეს გარდაქმნის ინფრაწითელი სპექტრები. ყველა ნიმუშს ერთმანეთის მსგავსი სპექტრი აქვს, ისინი შეესაბამებიან მორდენიტის ტიპურ ვიბრაციულ ზოლებს.



მონაცემები შეგროვილია 350-5000სმ<sup>-1</sup> დიაპაზონში. 3500-3700 სმ<sup>-1</sup> ზოლი მიუთითებს ადსორბენტის ზედაპირზე არსებული, როგორც თავისუფალი, ასევე წყალბადური ბმით ბმული OH- ჯგუფების არსებობაზე, რაც ინფორმაციას გვაძლევს მორდენიტის ჰიდრატირების შესახებ. რხევები 3605-3615 სმ<sup>-1</sup> დიაპაზონში მიეკუთვნება OH- ჯგუფებს ფორებში, ≡Si-OH-Al≡ ჯგუფებს, ბრენსტედურ ცენტრებს. ზოლები, რომლებიც ორიენტირებულია 1637 სმ<sup>-1</sup>-ზე, ეხება წყლის მოლეკულებს, რომლებიც დაკავშირებულია Na-სა და Ca-თან ცელითურ არხებსა და ღრუებში (Wilson, 1994). მორდენიტის მინერალში ან ტუფში საშუალო ცეოლითური ფაზა 50-60 %, ამიტომ ამ ცეოლითისათვის დამახასიათებელია ტეტრაედრებსშორისი დეფორმაციული რხევები 620-694 სმ<sup>-1</sup> მდე დაბალი ინტენსივობის ზოლებით აღინიშნება. ცეოლითის როგორც მჟავით, ასევე ტუტით დამუშავების შემდეგ ნიმუშებს სცილდება მასში არსებული დიდი რაოდენობით თიხოვანი მინერალები. ნიმუშების სპექტრებიც უფრო დახვეწილია ორივე შემთხვევაში. მომატებულია ზემოაღნიშნული ზოლების ინტენსივობა 621, 582 და 547 სმ<sup>-1</sup>-ზე. ასევე, ორივე შემთხვევაში ინტენსიური ხდება ზოლები, რომლებიც Si-O და Si-O-Al დეფორმაციულ რხევებს მიეკუთვნება. მჟავით დამუშავების შემდეგ იცვლება ინტენსივობა შიგატეტრაედრული სავალენტო რხევის ზოლებისა 1079 სმ<sup>-1</sup>-დან 1083 სმ<sup>-1</sup>-მდე, რაც დეალუმინირების პროცესის დაწყებაზე მიუთითებს. ტუტით დამუშავების დროს ეს არ ფიქსირდება.



სურ. 3.8. ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის IR სპექტრები

მორდენიტის FTIR სპექტრები აჩვენებს ორ ვიბრაციულ პიკს 3744 სმ<sup>-1</sup> და 3605 სმ<sup>-1</sup> რომლებიც დაკავშირებულია Si-O-H და Si-OH-Al ჯგუფებთან. გარდა ამისა, 3655 სმ<sup>-1</sup> დაფიქსირებული ზოლი შეესაბამება ალუმინის ვიბრაციას (AlOH-). ხოლო, ვიბრაციული მონაკვეთები, რომლებიც ნაპოვნია 1040 სმ<sup>-1</sup> დაკავშირებულია Si-O ჯგუფებთან.

### XRF

მიღებული ნიმუშების ქიმიური შედგენილობა EDXRF-ით ნაჩვენებია ცხრილში 3.2. მორდენიტის მჟავით დამუშავებამ გამოიწვია Si/Al თანაფარდობის 5.8-დან 7.2-მდე გაზრდა. მეზოფორები იქმნება ცეოლითის მჟავასთან პირდაპირი შეტევის შედეგად, კარკასში Si/Al თანაფარდობა იზრდება, რაც იწვევს აქტიური უბნების დაკარგვას. მარილმჟავას H<sup>+</sup>-იონები არღვევენ Al-O ბმას (Huntley et al., 2021). მორდენიტის NaOH-ისა და KOH-ის ხსნარით დამუშავებისას ხდება კვარცის მოცილება და ცეოლითის კრისტალების ნაწილობრივი დაშლა. ტუტის მაღალ კონცენტრაციასა და ხანგრძლივ კონტაქტს მორდენიტთან შეუძლია ამორფიზაციაც გამოიწვიოს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ტუტით მოდიფიცირება გამოიყენება ცეოლითების ფორიანობის გაზრდის მიზნით. მორდენიტს მიაკუთვნებენ კალიუმით მდიდარ მინერალებს, მასში K<sup>+</sup>-ის მაღალი შემცველობის გამო (Zhu et al., 2021). თავის მხრივ, ეს იწვევს კალიუმის მოცილების დაბალ სიჩქარეებს HCl-ით დამუშავებისას.

ცხრილი 3.2. საწყისი და მოდიფიცირებული მორდენიტის რენტგენო ფლუორესცენტული ანალიზის შედეგები											
N დასახელება		ოქსიდური შემცველობა, %									
		SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO	MgO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	TiO <sub>2</sub>	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	Si/Al
1	MOR	70.6	10.79	3.55	0.29	2.00	4.4	1.77	0.12	0.19	5.8
2	H-MOR	71.29	10.03	1.96	0.15	1.40	2.2	1.06	0.09	0.18	6.2
3	MOR-OH	67.98	9.09	3.45	0.18	3.15	5.04	1.72	0.11	0.19	6.6

### pH ნულოვანი მუხტის წერტილი


ნულოვანი მუხტის წერტილი არის pH, რომლის დროსაც ადსორბენტის ზედაპირი ნეიტრალურია და დიფუზიური იონები გამქრალია ე.ი. შეიცავს დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონების თანაბარ რაოდენობას. pH-ის ამ მნიშვნელობაზე ნაწილაკები არ გადაადგილდებიან, ექვემდებარებიან ელექტრულ ველს. ნულოვანი მუხტის წერტილის ქვემოთ ზედაპირი უარყოფითადაა დამუხტული, ხოლო ზემოთ დადებითად.

ადსორბციის მექანიზმი ყოველთვის ვერ აიხსნება ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებებით ადსორბენტსა და ადსორბატს შორის. ნულოვანი მუხტის წერტილი გვხმარება განვსაზღვროთ უკეთესი სორბციის პირობები. ხსნარიდან, რომლის pH-იც დაბალია, ნულოვანი მუხტის წერტილზე უკეთ ადსორბირდებიან კატიონები, ხოლო უფრო მაღალი მნიშვნელობისას ანიონები. ნულოვანი მუხტის წერტილი დაკავშირებულია ნაწილაკების ზედაპირულ მუხტთან. მას გავლენის მოხდენა შეუძლია კოლოიდური მასალების თვისებების ფართო სპექტრზე, როგორცაა: სტაბილურობა, ელექტროლიტების ურთიერთქმედება და იონმიმოცვლის უნარი. ნულოვანი მუხტის წერტილის შესწავლის შედეგები გამოიყენება კატიონმიმოცვლისა და ადსორბენტის გაჯერებას შორის ზოგადი კავშირის ასახსნელად.

ნულოვანი მუხტის წერტილის განსაზღვრის სამი მეთოდი არსებობს: მარილის დამატების, მეტა პოტენციალისა და იონების ადსორბციის მეთოდები. ჩვენს კვლევაში გამოვიყენეთ მარილის დამატების მეთოდი, მისი სწრაფი და მარტივი შესრულების გამო. ექსპერიმენტი ჩატარდა ნიმუშის იდენტურ რაოდენობებზე ერთი და იგივე კონცენტრაციის ხსნარის დამატებით, pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობაზე. 0,2 გ სორბენტს ემატება 50 სმ<sup>3</sup> 0,1M KNO<sub>3</sub>-ის ხსნარი pH-ის 2-10 დიაპაზონში. pH-ს კორექტირება ხდება 0.1 M HNO<sub>3</sub> და KOH-ის გამოყენებით. საწყისი pH-ს მნიშვნელობები აღინიშნა, როგორც pH<sub>i</sub>. ხსნარი ინჯღრევა 24 საათის განმავლობაში და იზომება საბოლოო pH<sub>f</sub>.

*ცხრილი 3.3. pH-ის მნიშვნელობები ნულოვანი მუხტის წერტილის განსაზღვრისას*

<i>N</i>	pH <sub>i</sub>	pH <sub>f</sub>	ΔpH
<i>1</i>	2	2.12	0.12
<i>2</i>	3	3.11	0.11
<i>3</i>	4	4.12	0.12
<i>4</i>	5	5.15	0.15
<i>5</i>	6	6.57	0.57
<i>6</i>	7	6.74	-0.26
<i>7</i>	8	7.01	-0.99
<i>8</i>	9	7.11	-1.89
<i>9</i>	10	8.82	-1.18



სურ. 3.9. ნულოვანი მუხტის წერტილის განსაზღვრის გრაფიკი.


როგორც სურ. 3.9-დან ჩანს ნულოვანი მუხტის წერტილის მნიშვნელობაა საწყისი pH-ისა და ΔpH-ის გადაკვეთის წერტილი 6.8. ეს გულისხმობს, რომ თუ ადსორბატის pH ნაკლებია მუხტის ნულოვან წერტილზე (6.8) მისი ზედაპირი დადებითად დაიმუხტება და უკეთ ადსორბირდებიან ანიონები, ხოლო მაღალი მნიშვნელობის შემთხვევაში კატიონები ჰიდროქსოკომპლექსების წრმოქმნის გამო.

### 3.2 ადსორბციის შესწავლა


ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ადსორბციის შესწავლა ტარდებოდა კონტაქტის დროის, ტემპერატურის, pH-ისა და აღნიშნულ მეტალთა იონთა ხსნარების საწყისი კონცენტრაციის გავლენის დასადგენად წონასწორულ და ადსორბციულ მახასიათებლებზე.

#### 3.2.1. კონტაქტის დროისა და კონცენტრაციის გავლენა


ხსნარის საწყისი კონცენტრაცია გავლენას ახდენს მძიმე მეტალების ადსორბციის პროცესზე. წონასწორული ექსპერიმენტები ჩატარდა 50 მლ ადსორბატის გამოყენებით (ტყვია (II), კადმიუმი (II), თუთია (II) და ქრომი (VI)), საწყისი კონცენტრაციით 5-დან 100 მგ/ლ, მომზადებული ადსორბენტების მიმართ (MOR, H-MOR, MOR-OH). სურათი 3.10 (a-c), 3.11 (a-c), 3.12 (a-c) და 3.13 (a-c) ასახავს Pb<sup>2+</sup>, Cd<sup>2+</sup>, Zn<sup>2+</sup> და Cr<sup>6+</sup> კატიონების ადსორბციის დამოკიდებულებას კონტაქტის დროსა t (წუთი) და ადსორბატის საწყისი კონცენტრაციაზე. ექსპერიმენტები ჩატარებულია ოთახის ტემპერატურაზე 25 °C.



სურ.3.10. Pb (II) იონების ადსორბციის ინტეგრალური კინეტიკური მრუდები სხვადასხვა საწყისი კონცენტრაციისათვის: (a) MOR, (b) H-MOR, (c) MOR-OH. 25 °C, pH=6.






სურ. 3.11. Cd (II) იონების ადსორბციის ინტეგრალური კინეტიკური მრუდები სხვადასხვა საწყისი კონცენტრაციისათვის: (a) MOR, (b) H-MOR, (c) MOR-OH. 25 °C, pH=6



სურ. 3.12. Zn (II) იონების ადსორბციის ინტეგრალური კინეტიკური მრუდები სხვადასხვა საწყისი კონცენტრაციისათვის: (a) MOR, (b) H-MOR, (c) MOR-OH. 25 °C, pH=6





სურ. 3.13. Cr (VI) იონების ადსორბციის ინტეგრალური კინეტიკური მრუდები სხვადასხვა საწყისი კონცენტრაციისათვის: (a) MOR, (b) H-MOR, (c) MOR-OH. 25 °C, pH=6

მძიმე ლითონის იონების ადსორბცია მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითებით რთული პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. შესაძლო მექანიზმები, რომლებითაც ეს პროცესი ხორციელდება, მოიცავს ქემისორბციას, კომპლექსწარმოქმნას, ადსორბციას ზედაპირზე და სორბენტის ფორმში, რასაც თან ახლავს იონური მიმოცვლა, კომპლექსწარმოქმნა, მიკრონალექების და მძიმე ლითონის ჰიდროქსიდების დალექვა. ადსორბციის მექანიზმის შესწავლის ყველაზე სასურველი მიდგომა არის იზოთერმების შესწავლა. სორბციის იზოთერმები აჩვენებენ ლითონის იონების განაწილებას ადსორბენტსა და თხევად ფაზას შორის წონასწორობისას. იზოთერმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები სორბენტის ზედაპირის ბუნებაზე, სორბატ-სორბენტის ურთიერთქმედების ბუნებაზე და ა.შ.

მოყვანილი გრაფიკული მონაცემებიდან ჩანს რომ ტყვიის, თუთიის და ქრომის ადსორბციისას ყველა ნიმუშისთვის, გარდა კადმიუმისა, 5-100 მგ/ლ კონცენტრაციის დიაპაზონში, გაჯერება ხდება 5-10 წუთში. კადმიუმისთვის წონასწორული ადსორბცია მიიღწევა 20-30 წუთის შემდეგ. საწყისი ხსნარის კონცენტრაციის ზრდა იწვევს მძიმე მეტალების მოცილების ეფექტურობისა და ადსორბციის სიჩქარის ზრდას, როგორც ნაჩვენებია 3.10-3.13 სურათებზე. საწყისი კონცენტრაციის მატებასთან ერთად, იზრდება მამოძრავებელი ძალაც, რაც აუძოვს მძიმე მეტალების შთანთქმის პროცესს. მას შემდეგ, რაც სისტემა მიაღწევს გაჯერების წერტილს, ადსორბტივის საწყისი კონცენტრაცია პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას სორბციის სიდიდეზე, რაც მიანიშნებს ადსორბენტის აქტიური უბნების სრულ დაკავებაზე ან შემცირებაზე(John Wiley & Sons, n.d.).

ნახაზებიდან ნათლად ჩანს (სურათი 3.10-3.13), რომ სამივე ადსორბენტისთვის ადსორბციული ტევადობა  $q$  (მგ/გ) იზრდება დროთა განმავლობაში. თუმცა არსებობს წერტილი, რის შემდეგაც ადსორბციული ტევადობა მიაღწევს მუდმივ მნიშვნელობას, რაც ცნობილია, როგორც „წონასწორობის წერტილი“. ამ დროს მეტალთა კატიონები იმყოფებიან დინამიურ წონასწორობაში ადსორბენტს და ხსნარს შორს. წონასწორობის დროს ადსორბირებული კატიონების რაოდენობა გვიჩვენებს სორბენტის მაქსიმალურ ტევადობას შესაბამის პირობებში.

წონასწორობის დროს, ადსორბციის სიდიდე იზრდება ადსორბტივის საწყისი კონცენტრაციის მატებასთან ერთად. რაც უფრო მაღალია საწყისი კონცენტრაცია, მასის გადაცემის მამოძრავებელი ძალა უფრო დიდი ხდება.

$Pb^{2+}$  იონების ადსორბცია ძირითადად პირველ 10 წუთში აღწევს წონასწორულ მნიშვნელობას ყველა სორბენტისთვის, რაც შეესაბამება ყველა ადსორბენტის ეფექტურობას მიუხედავად მოდიფიცირებისა. ადსორბტივის ხსნარის საწყის

კონცენტრაციას რაღაც მნიშვნელობამდე დიდი გავლენა აქვს სორბციის ხარისხზე, რადგან ადსორბენტის განსაზღვრულ რაოდენობას შეუძლია შთანთქოს  $Pb^{2+}$ -ის ფიქსირებული რაოდენობა. ასევე, ტყვიის იონების საწყის კონცენტრაციის გაზრდისას იზრდება ადსორბციული ტევადობა (სურ.3.10). მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში იკლებს ადსორბციის ხარისხი.  $Pb^{2+}$  იონების მაქსიმალური სორბცია მიიღწევა 40 წუთში, მას შემდეგ რაოდენობაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საწყის ეტაპზე, სწრაფი ადსორბცია (გარედიფუზიური მექანიზმით განპირობებული) შესაძლოა მოხდეს ზედაპირის და არსებული დიდი არხების შევსების ხარჯზე. თუმცა შემდგომ ხდება ადსორბირებული კატიონების გადანაწილება შიგა არხებში და აქტიური ცენტრების გაჯერება, რაც იწვევს წონასწორობის დამყარებას 40 წუთის შემდეგ.

Zn (II) და Cr(VI) იონების ადსორბციული წონასწორობა ძალიან მალე მყარდება, ტყვიის მსგავსად. კვლევაში გამოყენებული სამივე სორბენტი თითქმის თანაბარი ეფექტურობით შთანთქავს აღნიშნულ კატიონებს. მცირედით უკეთესი შედეგი აჩვენა მჟავით მოდიფიცირებულმა ფორმამ, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს შედარებით მაღალი ზედაპირის ფართობითა და ფორების გაზრდილი მოცულობით. ზედაპირის ფართობი და ფორების მოცულობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი თხევადი ფაზიდან ადსორბირებისას. გარდა ამისა, მორდენიტის მოდიფიცირება გავლენას ახდენს მისი ზედაპირის ქიმიაზეც.

Cd (II) კატიონების შემთხვევაში შედარებით მეტი კონტაქტის დროა საჭირო იმისთვის, რომ სისტემამ წონასწორობას მიაღწიოს (დაახლოებით 35-40 წუთი). ეს შეიძლება გამოწვეული იყოს Cd (II) კატიონის უფრო მცირე ზომით, რომელსაც უფრო მეტი ვაკანტური ადგილი შეექმნება მონოფენის ფორმირებისთვის. ეს იონები წარმოქმნიან არასტაბილურ ზედაპირულ კომპლექსებს, რომლებიც იწვევს თანმიმდევრულ ადსორბციულ-დესორბციულ პროცესებს. შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ შედარებით მეტი დროა საჭირო  $Cd^{2+}$  იონების ადსორბციისთვის მოდიფიცირებულ მორდენიტზე (H-MOR და MOR-OH), ბუნებრივ მორდენიტთან შედარებით. შესაძლოა, გარდა ფიზიკური ადსორბციისა საწყის მორდენიტზე მიმდინარეობს მყისიერი იონმიმოცვლითი ადსორბცია ცეოლითური კატიონების მონაწილეობით. ამაზე მიუთითებს გაანგარიშებული ადსორბციის სითბო.

ადსორბციის მექანიზმის საყოველთაოდ მიღებული ფორმულირება არ არსებობს, მაგრამ განიხილება ამ მოვლენის სხვადასხვა მხარე:

- ადსორბენტის სორბციული ცენტრების ბუნება - იონმიმოცვლითი ჯგუფები, ზედაპირის ლოკალური მუხტები, კოორდინაციურად არანაჯერი ზედაპირული ატომები;
- იმ ძალების ბუნება, რომლებიც იკავებენ სორბატის იონებს მყარ ფაზაში.

მარტივად რომ ვთქვათ, მეტალის იონი პირველ ეტაპზე წარმოქმნის ზედაპირულ კომპლექს OH-ჯგუფებთან. წარმოქმნილი კოორდინაციული ბმები მეორე ეტაპზე ხდებიან სავალენტო ოქსოლაციის პროცესის გამო. ამ მექანიზმის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ტუტე არეში, ე.ი. მეტალების მდგრადი ჰიდროქსოკომპლექსების წარმოქმნის არეში ადსორბენტის ტევადობა იზრდება. ამ კომპლექსების მდგრადობა რამდენიმე რიგით აღემატება სხვა კომპლექსების მდგრადობას.

ბრუნაუერის, ემეტის და ტელერის (BET) კლასიფიკაციის თანახმად ადსორბციის მიღებული იზოთერმები, გარდა კადმიუმისა, შეიძლება მივაკუთნოთ I ტიპის იზოთერმებს. ამ ტიპის იზოთერმა ტიპიურია ადსორბციისთვის მეზოფორიან მყარ მასალებზე. პროცესი მიმდინარეობს პოლიმოლეკულური ადსორბციის მექანიზმით. კადმიუმის იზოთერმა კი მიეკუთვნება II ტიპს, სადაც შეიძლება გამოიყოს დაბალი კონცენტრაციის უბანი, რომელიც შეესაბამება მონომოლეკულური ფენის წარმოქმნას და მიკროფორების შევსებას. მაღალი კონცენტრაციის ჰორიზონტალური უბანი შეესაბამება ზედაპირს, რომელიც მთლიანად გაჯერებულია ადსორბატით. სორბციის უნარი დამოკიდებულია აგრეთვე იონის რადიუსზე და მუხტის სიმკვრივეზე (Kamar et al., 2015). ერთი და იგივე მუხტის ორი იონიდან უფრო დიდი რადიუსის მქონე იონი უკეთესად სორბირდება, რადგან ის უფრო პოლარიზებულია და უკეთესად მიიზიდება სორბენტის დამუხტული ზედაპირის მიერ. და მცირე რადიუსის იონები უფრო მიდრეკილნი არიან ჰიდრატირებული გარსის წარმოქმნისადმი, რომელიც შეამცირებს ასეთ ელექტროსტატიკურ ურთიერთქმედებას. ტყვიის იონის რადიუსი არის 0,112 ნმ, ხოლო კადმიუმის იონის რადიუსი არის 0,099 ნმ, შესაბამისად, სორბენტის სორბციის უნარი ტყვიის იონებთან მიმართებაში უნდა იყოს უფრო მაღალი ვიდრე კადმიუმის იონების მიმართ.

### 3.2.2. ადსორბენტის მასის გავლენა

ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ადსორბციის შესწავლა ჩატარდა 4 სხვადასხვა სორბენტის (MOR, H-MOR, MOR-OH და Na-MOR), 4 სხვადასხვა მასის გამოყენებით (0,1; 0,5; 1,0; 2,0 გ). ტყვიის იონებისათვის გამოყენებულია 30 მგ/ლ საწყისი კონცენტრაციის მოდელურ ხსნარი,  $Cd^{2+}$ - 10 მგ/ლ,  $Zn^{2+}$ - 20 მგ/ლ და  $Cr^{6+}$  - 20 მგ/ლ ( pH=6, T=25°C). ცხრილში 3.4-ში წარმოდგენილი შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ადსორბენტის მასის ზრდა იწვევს მძიმე მეტალების სორბციის სიდიდის ზრდასაც. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადსორბენტის


მასის მატებასთან ერთად უფრო მეტი ადსორბციული ცენტრი ხელმისაწვდომი მეტალთა კატიონებისათვის.

ყველა მძიმე მეტალის შემთხვევაში ადსორბენტის მასის ზრდა იწვევს ადსორბციული ტევადობის ზრდასაც, როგორც ეს ნაჩვენებია სურათ 3.14-ზე.  $Pb^{2+}$  იონისათვის ადსორბენტის მასის ზრდასთან მკვეთრად მატულობს ადსორბციის სიდიდე ერთნაირად ყველა ნიმუშისათვის. თუთიის შემთხვევაში, ადსორბციის სიდიდის ზრდა ნაკლებად არის გამოხატული.

ცხრილი 3.4. ბუნებრივი (MOR), მოდიფიცირებული (H-MOR, MOR-OH) და სინთეზური (Na-MOR) მორდენიტის მასის გავლენა, სხნარიდან მძიმე მეტალების მოცილების ხარისხზე (%)

მძიმე მეტალი	ადსორბენტის მასა (გ)	MOR, ადსორბირებული, %	H-MOR, ადსორბირებული, %	MOR-OH, ადსორბირებული, %	Na-MOR, ადსორბირებული, %
Cr (VI)	0.1	11	49.25	48.7	48.4
	0.5	30	60.1	56.7	69
	1	64.7	78.75	74.5	74.435
	2	74.1	100	100	100
Pb (II)	0.1	99.2	99.13	99.07	99.08
	0.5	99.47	99.43	99.37	99.33
	1	100	100	100	100
	2	100	100	100	100
Cd (II)	0.1	3.2	7.41	7.4	22
	0.5	9.7	8.31	15.4	35
	1	13.8	19	38	57.1
	2	19	30	44	78.7
Zn (II)	0.1	48.7	49.25	48.7	48.4
	0.5	58	60.1	56.7	69

1	73.83	78.75	74.5	74.435
2	100	100	100	100




სურ. 3.14. ადსორბენტების (MOR, H-MOR, MOR-OH, NaMOR) მასის გავლენა ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ადსორბციაზე ( pH=6, T-25 °C).


### 3.2.3. საწყისი ხსნარის pH-ის გავლენა ადსორბციაზე.

მეტალის იონების მოცილება წყალხსნარიდან დამოკიდებულია ხსნარის pH-ზე, ვინაიდან ის გავლენას ახდენს ადსორბენტის ზედაპირის მუხტზე, ფუნქციური ჯგუფების იონიზაციის ხარისხსა და ლითონის იონის ბუნებასა და გარემოცვაზე (Ogunlalu et al., 2021). გარდა ამისა, ხსნარის pH გავლენას ახდენს მძიმე მეტალების იონიზაციის ხარისხზე (El Qada et al., 2006). სურათებზე 3.15, 3.16, 3.17 და 3.18


ნაჩვენებია საწყისი pH-ის გავლენა Pb (II), Cd(II), Zn(II) და Cr(IV) კატიონების ადსორბციაზე.




სურ. 3.15. ადსორბტივის ხსნარის pH-ის გავლენა Pb (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, H-MOR, MOR-OH და NaMOR-ის მიმართ.



სურ. 3.16. ადსორბტივის ხსნარის pH-ის გავლენა Cd (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, H-MOR, MOR-OH და NaMOR-ის მიმართ.



სურ. 3.17. ადსორბტივის ხსნარის pH-ის გავლენა Zn (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, H-MOR, MOR-OH და NaMOR-ის მიმართ.



სურ. 3.18. ადსორბტივის ხსნარის pH-ის გავლენა Cr (VI) კატიონების ადსორბციაზე MOR, H-MOR, MOR-OH და NaMOR-ის მიმართ.

pH-ის დაბალი მნიშვნელობის ხსნარში მეტია  $H^+$  და  $H_3O^+$  იონების შემცველობა, რომლებიც კონკურენციას უწევენ მძიმე მეტალების კატიონებს, შესაბამისად ადსორბციაც მჭავე ხსნარებიდან ნაკლებია. ამგვარად, pH 4-ზე ყველა კატიონისთვის ადსორბციის სიდიდე ყველაზე დაბალია. თანახმად (Srivastava et al., 2008) დაახლოებით pH 6-ზე მეტალთა კატიონები შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ფორმით. ამ ფორმებით ისინი ურთიერთქმედებენ ჰიდროქსილის ჯგუფებთან და



ადსორბირდებიან იონმიმოცვლის მექანიზმით ან წყალბადური ბმის ხარჯზე, რაც ზრდის ადსორბციის ხარისხს .


ჩვენი შედეგები აჩვენებს, რომ pH-ის გაზრდასთან ერთად იზრდება ოთხივე მძიმე მეტალის შთანთქმის ხარისხიც. აღსანიშნავია, რომ დაბალი pH-ის მნიშვნელობის დროსაც კი მოხდა ადსორბცია. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ადსორბენტის ზედაპირზე არსებულ ფუნქციურ ჯგუფებთან სტაბილური კომპლექსების წარმოქმნით. ასევე დაბალი pH-ის მნიშვნელობისას მორდენიტის ზედაპირი მეტად არის დაფარული  $H^+$  იონებით, რომლებიც აბრკოლებენ ტყვიის იონების შეღწევას მორდენიტის თავისუფალ არხებში. თუმცა, pH 7-ზე მაღლა, ისევე როგორც pH 2-ზე დაბალი მნიშვნელობებისას ფერხდება მეტალების ურთიერთქმედება ადსორბენტთან.

ნაჩვენებია, რომ იონმიმოცვლის პროცესი იზრდება pH-ის მატებასთან ერთად. ადსორბციის ხარისხი ყველაზე მაღალია pH 4-დან pH 6-მდე მნიშვნელობებისთვის. კადმიუმის შემთხვევაში დამოკიდებულების გრაფიკი გადის მაქსიმუმზე pH 4-ზე ან pH 6-ზე და მცირდება ადსორბციის ხარისხი, ყველა სორბენტისათვის როგორც ნაჩვენებია სურათ 3.16-ზე. pH-ის დაბალმა მნიშვნელობამ შეიძლება გამოიწვიოს ცეოლითის სტრუქტურის დაშლა, ხოლო მაღალი pH-ის მნიშვნელობამ ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს ცეოლითის სტრუქტურაზე, მძიმე მეტალების კათიონები გადაიყვანოს ჰიდროქსიდებში და გამოლექოს ისინი, რით შეაფერხოს იონმიმოცვლის პროცესს. ცნობილია, რომ ბუნებრივი ცეოლითის სტრუქტურა ნაწილობრივ დეგრადირდება და კარგავს იონმიმოცვლით შესაძლებლობებს ტუტე გარემოში, ხოლო მაღალმჟავიან ხსნარებში ბუნებრივი ცეოლითის სტრუქტურა იშლება. ამრიგად, იონმიმოცვლის პროცესები იზრდება pH-7-მდე, ხოლო pH-ს შემდგომ მატებასთან ერთად მცირდება (Tsitsishvili et al., 1999).


ამრიგად, HM იონების ადსორბციის ხარისხის დამოკიდებულებაზე ხსნარის pH-ზე გავლენას არ ახდენს ნიმუშის მოდიფიკაცია. იგივე შედეგი მიღებულია სინთეზურ მორდენიტზე. შთანთქმის ხარისხი 100%-ის ფარგლებშია. გამონაკლისია კადმიუმის იონი და ერთერთი მიზეზი არის ხსნარში კადმიუმის იონის თავისებური მდგომარეობა და მისი ელექტრონული სტრუქტურა. კადმიუმი არის 18 ელექტრონიანი კატიონი და დამატებითი პოლარიზებული ეფექტი და, შესაბამისად, მთლიანი პოლარიზებული ეფექტი განსაკუთრებით დიდია ასეთი კატიონებისთვის.

### 3.2.4. ხსნარის ტემპერატურის გავლენა ადსორბციაზე


ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ადსორბციის ექსპერიმენტები ჩატარდა 20, 30, 60 და 80 °C ტემპერატურაზე. ადსორბციის ეფექტურობის შესაფასებლად შერჩეულია მეტალთა იონების ოპტიმალური კონცენტრაციები, ტყვია-50 მგ/ლ, კადმიუმი 10 მგ/ლ, თუთია 20 მგ/ლ, ქრომი 20 მგ/ლ. წარმოდგენილ 3.19, 3.20, 3.21 და 3.22 ნახაზებზე მოყვანილია ადსორბციის დამოკიდებულება სხვადასხვა ტემპერატურასა და ადსორბენტზე.




სურ. 3.19. ხსნარის ტემპერატურის გავლენა Pb (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, DE-MOR, H-MOR და NaMOR-ზე.



სურ. 3.20. ხსნარის ტემპერატურის გავლენა Cd (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, DE-MOR, H-MOR და NaMOR-ზე.



სურ. 3.21. ხსნარის ტემპერატურის გავლენა Zn (II) კატიონების ადსორბციაზე MOR, DE-MOR, H-MOR და NaMOR-ზე.



სურ. 3.22. ხსნარის ტემპერატურის გავლენა Cr (VI) კატიონების ადსორბციაზე MOR, DE-MOR, H-MOR და NaMOR-ზე.

ზემოთნაჩვენები ოთხივე გრაფიკიდან ჩანს, რომ ხსნარის ტემპერატურა გავლენას ახდენს ადსორბციის პროცესზე ყველა ადსორბენტის მიმართ.

Pb<sup>2+</sup> იონის ადსორბცია დაბალ ტემპერატურაზე (20-40°C) უმნიშვნელოთ განსხვავდება სხვადასხვა ნიმუშისათვის, და 50°C -ზე ზევით პრაქტიკულად ერთნაირია (სურ. 3.19). და პირიქით, Cd<sup>2+</sup>-ის და Zn<sup>2+</sup>-ის ადსორბციის ტემპერატურული დამოკიდებულება ძლიერ განსხვავდება შესწავლილი ნიმუშებისათვის (სურ. 3.20, 3.21). ტუტით მოდიფიცირებამ შეუქმნა Cd<sup>2+</sup>-ის და Zn<sup>2+</sup>-

ის იონებისათვის ხელსაყრელი აქტიური ცენტრები. ამავე დროს ტემპერატურის მატება პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას შთანთქმის ხარისხზე, გარდა დეკატონირებული მორდენიტისა (სურ.3.21).


ყველაზე ძლიერი გავლენა ტემპერატურამ მოახდინა ქრომ (VI) ანიონის ადსორბციაზე (სურ. 3.22) - გაადვილდა ქრომის იონების დიფუზია ცეოლითების არხებში.

ცნობილია, რომ ცეოლითის იონების მიმოცვლითი ტევადობა რეალიზდება დაახლოებით 70-80% გარედიფუზიური მექანიზმით, ხოლო შიდადიფუზიის მექანიზმი მხოლოდ მის დარჩენილ ნაწილს შეადგენს(Kurtoğlu & Atun, 2006), ამიტომ, ტემპერატურის მატებასთან ერთად, იზრდება გარედიფუზიური სიჩქარე და, შესაბამისად, ადსორბციის სიჩქარე და სიდიდე.


ჩვენ შემთხვევაშიც ოთხივე მეტალის სორბციისას ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება ადსორბციის იონების სიჩქარე გარედიფუზიურ უბანში. ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება ადსორბციის იონების მოძრაობის სიჩქარეც ხსნარში, რაც იწვევს იონების დიფუზიის ზრდას. ტემპერატურის მატებასთან ერთად მცირდება ხსნარის ზედაპირული დამაბულობა და სიბლანტე(WANG & ZHU, 2007). ადსორბციის ხარისხის გაუმჯობესება, შესაძლოა გამოწვეული იყოს აგრეთვე ადსორბენტებსა და ადსორბატებს შორის ქიმიური ურთიერთქმედების გაზრდით, ახალი ადსორბციული უბნების შექმნით ან ადსორბატის განაწილების სიჩქარის მატებით ადსორბენტის ფორებში (Senthilkumaar et al., 2005).

### 3.3 ადსორბციის თერმოდინამიკული მახასიათებლები


ტყვის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) თერმოდინამიკული ქცევა ბუნებრივ და მოდიფიცირებულ მორდენიტზე გაანალიზებულია ზემოთაღნიშნული განტოლებების (10-14) მიხედვით. თერმოდინამიკული მონაცემები, ამოღებული გრაფიკებიდან, რომელიც აგებულია  $\ln K_L / 1/T$  კოორდინატებში (სურ. 3.23, 3.24, 2.25, 3.26), ასახავს თერმოდინამიკულ პარამეტრებს აღნიშნული მეტალების კატიონების სორბციისას.




სურ. 3.23.  $\ln K_L$  -ს დამოკიდებულება  $1/T$ -ზე Pb(II) კატიონების სორბციის შესწავლისათვის.



სურ. 3.24.  $\ln K_L$  -ს დამოკიდებულება  $1/T$ -ზე Cd(II) კატიონების სორბციის შესწავლისათვის.



სურ. 3.25.  $\ln K_L$ -ს დამოკიდებულება  $1/T$ -ზე Zn(II) კატიონების სორბციის შესწავლისათვის.



სურ. 3.26.  $\ln K_L$ -ს დამოკიდებულება  $1/T$ -ზე Cr(VI) კატიონების სორბციის შესწავლისათვის.

როგორც ზემოთხაზვნი 4 გრაფიკიდან ჩანს, წრფივი ხაზების დახრილობა (slope) შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, კონკრეტული ადსორბატ-ადსორბენტ სისტემებისათვის. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი ადსორბციის პროცესი ბუნებით ენდოთერმულია, ზოგი კი ეგზოთერმული.  $\Delta H^\circ$ ,  $\Delta S^\circ$  და  $\Delta G^\circ$ -ს გამოთვლილი მნიშვნელობები ტყვის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების სორბციისათვის MOR, H-MOR და MOR-OH-ზე წარმოდგენილია ცხრილებში 3.5, 3.6, 3.7, 3.8 შესაბამისად. დეტალური გაანგარიშებები მოცემულია დანართი 1-ში.

ცხრილი 3.5. Pb (II) იონების MOR, H-MOR და MOR-OH-ზე ადსორბციის თერმოდინამიკული პარამეტრები სხვადასხვა ტემპერატურისათვის						
ადსორბენტი	$K_L$	ტემპერატურა (T)	$\Delta G^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta H^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta S^\circ$ (ჯ/მოლი-K)	$R^2$
MOR	4.666981132	293	-3.75269	13.63693	59.05437	0.9843
	5.158333333	303	-4.13294			
	8.942805755	333	-6.0655			
H-MOR	3.573188406	293	-3.10215	17.31118	69.63361	0.9998
	4.47079566	303	-3.77258			
	8.367508418	333	-5.88141			
MOR-OH	2.850232019	293	-2.55147	21.30887	81.74013	0.9931
	4.151680672	303	-3.58603			
	8.339261745	333	-5.87205			

ცხრილი 3.6. Cd(II) იონების MOR, H-MOR და MOR-OH-ზე ადსორბციის თერმოდინამიკული პარამეტრები სხვადასხვა ტემპერატურისათვის

ადსორბენტი	$K_L$	ტემპერატურა (T)	$\Delta G^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta H^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta S^\circ$ (ჯ/მოლი-K)	$R^2$
MOR	0.007723	293	11.8475	0.024904	-24.9044	0.9347
	0.007743	303	12.24534			
	0.009545	333	12.8786			
H-MOR	0.000297	293	19.78671	-0.12872	128.7211	0.9902
	0.00049	303	19.19993			
	0.004765	333	14.80228			
MOR-OH	0.033893	293	8.24479	-0.03112	31.11556	0.9338
	0.034175	303	8.505274			
	0.076008	333	7.134351			

ცხრილი 3.7. Zn(II) იონების MOR, H-MOR და MOR-OH-ზე ადსორბციის თერმოდინამიკული პარამეტრები სხვადასხვა ტემპერატურისათვის

ადსორბენტი	$K_L$	ტემპერატურა (T)	$\Delta G^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta H^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta S^\circ$ (ჯ/მოლი-K)	$R^2$
MOR	0.138715	293	4.81192	0.015253	-15.2527	0.999
	0.13943	303	4.963198			
	0.141095	333	5.421736			
H-MOR	0.130734	293	4.956271	0.013245	-13.2448	0.9838
	0.131745	303	5.106007			
	0.137652	333	5.490122			
MOR-OH	0.144818	293	4.707034	0.016081	-16.0814	0.0634
	0.14497	303	4.865043			
	0.144818	333	5.349633			



ცხრილი 3.8. Cr(VI) იონების MOR, H-MOR და MOR-OH-ზე ადსორბციის თერმოდინამიკული პარამეტრები სხვადასხვა ტემპერატურისათვის						
ადსორბენტი	$K_L$	ტემპერატურა (T)	$\Delta G^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta H^\circ$ (კჯ/მოლი)	$\Delta S^\circ$ (ჯ/მოლი-K)	$R^2$
MOR	0.1153	293	5.2625	0.0061	-6.0945	0.5596
	0.1394	303	4.9632			
	0.1411	333	5.4217			
H-MOR	0.1113	293	5.3485	0.0053	-5.2727	0.6984
	0.1317	303	5.1060			
	0.1377	333	5.4901			
MOR-OH	0.0889	293	5.8960	-0.0081	8.0840	0.5055
	0.1450	303	4.8650			
	0.1448	333	5.3496			

შედეგები ცხადყოფს, რომ ტყვიის, ისევე როგორც თუთიის ადსორბციისთვის სამივე ადსორბენტზე მიღებული  $\Delta H^\circ$ -ის მნიშვნელობა დადებითია, რაც მიუთითებს სისტემის ენდოთერმულ ბუნებაზე.

ეგზოთერმული სორბციის სისტემის შემთხვევაში, ადსორბციის ხარისხი მცირდება ხსნარის ტემპერატურის მატებასთან ერთად. რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ადსორბირებული იონების თანმიმდევრული დესორბციით წონასწორულ ნარევეში. ასევე, შესაძლოა მოხდეს ადსორბატისა და ადსორბენტის აქტიურ უბნებს შორის ფიზიკური კავშირის დესტაბილიზაცია (Chandra et al., 2007). საპირისპიროდ ხდება ენდოთერმული პროცესებისთვის. ენდოთერმული რეაქციების შემთხვევაში ტემპერატურის მატება ზრდის ადსორბტივის დიფუზიის სიჩქარეს როგორც ადსორბენტის ზედაპირზე, ასევე მის ფორებში.

მნიშვნელოვანია, რომ არ გადავიდეთ ოპტიმალურ ტემპერატურულ ზღვარზე, რადგან ტემპერატურის მატება იწვევს აგლომერაციის პროცესს და კრიტიკული ტემპერატურის მიღმა დესორბცია ხდება სპონტანურად, რაც იწვევს სორბციის შემცირებას. ადსორბციის პროცენტის ზრდა ტემპერატურის მატებასთან ერთად გამოწვეულია კინეტიკური ძალების ზრდით, ანუ სორბატის მობილურობით სორბენტის მატრიცის შიგნით (Senthilkumaar et al., 2006). შედეგები გვაჩვენებს, რომ ადსორბციული სისტემის თერმოდინამიკური ქცევა დამოკიდებულია შესწავლილი სორბენტებისა და სორბატების ტიპზე.

ფიზიკური სორბციისთვის ენთალპიის ცვლილების უმაღლესი ზღვარი არის 80 კჯ/მოლი, ხოლო ქემოსორბცია მიმდინარეობს 80-420 კჯ/მოლს შორის (Wang et al., 2023). ამ კვლევაში მიღებული  $\Delta H^\circ$ -ის მნიშვნელობა არის 80 კჯ/მოლზე ნაკლები. რაც

გულისხმობს, რომ ამ კვლევაში ყველა სორბციის პროცესი ფიზიკური სორბციის მექანიზმს მიჰყვება.

თუთიის (II) კატიონების ადსორბცია გვიჩვენებს უარყოფით  $\Delta S^\circ$  მნიშვნელობებს სამივე სორბენტისათვის. უარყოფითი  $\Delta S^\circ$  მნიშვნელობები აქვს ასევე ქრომის იონებს MOR და H-MOR-სთვის, კადმიუმს - MOR-სთვის. დანარჩენმა შემთხვევებმა აჩვენეს  $\Delta S^\circ$ -ის დადებითი მნიშვნელობები.  $\Delta S^\circ$ -ის დადებითი მნიშვნელობები მიუთითებს ადსორბენტის თავსებადობას შერჩეული ადსორბატის მიმართ.

ქრომის, თუთიისა და კადმიუმის იონების სორბციისთვის  $\Delta G^\circ$ -ის აქვს დადებითი მნიშვნელობა, ხოლო ტყვიის იონებისთვის უარყოფითი.  $\Delta G^\circ$ -ის დადებითი მნიშვნელობები მიუთითებს ადსორბციული პროცესების არასპონტანურ ბუნებაზე შესასწავლი ტემპერატურის დიაპაზონში. მიღებული  $\Delta G^\circ$ -ის მნიშვნელობები არის 20კჯ/მოლზე ნაკლები, რაც ასევე მიუთითებს ფიზიკურ სორბციაზე.

საერთო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სორბციის სისტემის თერმოდინამიკული მახასიათებლები განსხვავდება გამოყენებული სორბენტისა და სორბატის ტიპების მიხედვით, რადგან მათ გააჩნიათ განსხვავებული ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადსორბციის მექანიზმზე.

### 3.4 ადსორბციის იზოთერმა

ექსპერიმენტული მონაცემები გაანალიზებულია ადსორბციის იზოთერმული განტოლებების გამოყენებით. განსაზღვრულია ლენგმიურისა და ფროინდლიხის იზოთერმული მუდმივები ( $K_L$ ;  $\ln K_F$ ) და გამოთვლილია კორელაციის კოეფიციენტი (R). თითოეული მეტალისათვის გამოყენებულია, ადსორბციის ხარისხის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების კვლევიდან მიღებული შედეგები. ორივე იზოთერმის მოდელი გვჩვენებს დავასკვნათ ადსორბატის რომელ კონცენტრაციაზე ხდება ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების ყველაზე მაღალი ხარისხით ადსორბირება, თითოეულ ადსორბენტზე (MOR, H-MOR, MOR-OH).

#### ლენგმიურის იზოთერმა:

წონასწორობის მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვანია განტოლების შესაქმნელად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იყოს სხვადასხვა მასალის დასახასიათებლად. ადსორბციული იზოთერმები შეიძლება წარმოიქმნას თეორიული მოდელების საფუძველზე, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია ლენგმიურისა და ფროინდლიხის მოდელები. ყველაზე შესაფერისი იზოთერმული მოდელის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი არის საშუალო პროცენტული ცდომილება და ექსპერიმენტული მნიშვნელობებიდან გადახრა (Ahmadi et al., 2022).



ლენგმიურის იზოთერმული მოდელი ვარაუდობს მონომრის სორბციას ფიზიკური ძალების მეშვეობით. ლენგმიურის მიერ შემოთავაზებულ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, სორბციის ენერგია არ არის დამოკიდებული ზედაპირის დატვირთვაზე. ის მიიჩნევა, რომ ადსორბცია ხდება შეზღუდულ ადგილებში, ადსორბენტი-ადსორბატს შორის ურთიერთქმედების გარეშე. მაქსიმალური ადსორბცია ხდება მაშინ, როდესაც ზედაპირი დაფარულია ადსორბატის მონოფენით(Langmuir, 1918).



წონასწორობის კვლევებიდან მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები კორელირებული იყო ლენგმიურის ადსორბციის იზოთერმასთან. ოთხივე მძიმე მეტალისთვის მიღებულია წრფივი დიაგრამები( $1/C_e$ -ის დამოკიდებულება  $1/q_e$ -თან), მეტალთა იონების სხვადასხვა კონცენტრაციის დიაპაზონებში (Pb 60-დან 150 მგ/ლ-მდე; Cd 20-დან 100 მგ/ლ-მდე; Zn 20-დან 100 მგ/ლ-მდე; Cr 40-დან 100 მგ/ლ-მდე). ლენგმიურის იზოთერმის მოდელის პარამეტრების მნიშვნელობები თითოეული კატიონისთვის და ადსორბენტისთვის წარმოდგენილია ცხრილში 3.9.

ცხრილი 3.9. გაანგარიშებული ლენგმუირის იზოთერმული მუდმივები ხსნარიდან ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონების მოსაცილებლად.

მეტალი	ადსორბენტი	$q_{მაქ.}$ (მგ/გ)	$R^2$	$K_L$ (ლ/მგ)
$Pb^{2+}$	MOR	11.44	0.97	21.75
	H-MOR	13.9	0.99	0.00027
	MOR-OH	13.35	0.92	0.00041
$Cd^{2+}$	MOR	0.84	0.97	0.0229
	H-MOR	0.65	0.94	0.0356
	MOR-OH	0.43	0.91	0.0386
$Zn^{2+}$	MOR	118.92	0.99	0.0025
	H-MOR	57.12	0.99	0.0057
	MOR-OH	55.04	0.99	0.0057
$Cr^{+6}$	MOR	2.25	0.98	0.047
	H-MOR	2.47	0.95	0.047
	MOR-OH	2.56	0.95	0.046

ცხრილი 3.9-ში მოცემული შედეგები გვიჩვენებს, რომ ლენგმუირის იზოთერმები ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) კატიონებისათვის სწორხაზოვანია. ეს ნიშნავს, რომ იზოთერმა საკმაოდ კარგად ერგება ექსპერიმენტულ შედეგებს, რასაც ცხადყოფს კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაც  $R^2$ , რომლის მნიშვნელობაც მერყეობს 0,91-დან 0,99-მდე ზღვრებში. ადსორბციის უნარი, ყველა მეტალისათვის, თითქმის მსგავსია როგორც საწყისი, ასევე მოდიფიცირებული მორდენიტების შემთხვევაში. მაქსიმალური ადსორბციული ტევადობა,  $q_{მაქ.}$ , რომელიც წარმოადგენს სორბენტის სორბატიტ ერთფენოვან დაფარვას, ტყვიის იონებისთვის საუკეთესო შედეგი ქონდა H-MOR ფორმას (13,9 მგ/გ), კადმიუმისთვის MOR-ს (0,84მგ/გ), თუთიისთვის MOR-(118,92მგ/გ) და ქრომისთვის MOR-ს (2,25 მგ/გ).  $q_{მაქ.}$ -ის შედეგების მიხედვით, სორბცია სამივე ფორმის ცეოლითზე წარმართება შემდეგი თანმიმდევრობით:  $Zn^{2+} > Pb^{2+} > Cr^{+6} > Cd^{2+}$ .





სურათი 3.27. ლენგმიურის იზოთერმის ხაზოვანი რეგრესიის ანალიზი, ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (VI) იონების ადსორბციისას საწყის და მოდიფიცირებულ მორდენიტზე.

სურათი 3.27-დან ჩანს, რომ ადსორბციის ყველა კვლევაში, სამივე სორბენტის შედეგები უმნიშვნელოდ იცვლება თითოეული მეტალისათვის. მთლიანობაში, MOR-ს და H-MOR ფორმებს აქვთ უფრო მაღალი ადსორბციის უნარი MOR-OH-თან შედარებით.

### ფროინდლიხის ადსორბციის იზოთერმა

